ᲛᲤᲠᲝᲮᲔᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ს.ა.ფ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
22 ნოემბერი
1940 წ.
№ 271 (5972)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის დაკრძალვა. სურათზე: სამგლოვიარო მიტინგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. სიტყვას ამბობს ამხ. გ. სტურუა.

საქდესის ფოტოქრონიკა.

კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ სკოლების მუშაობა

სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განუხრელად განხორციელებით საქართველოს სკოლებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მიმდინარე სასწავლო წლის განვლილი პირველი მეოთხედის შეჯამებისას. პირველი მეოთხედის წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ მოსწავლეთა წარმატებულობისა და დისციპლინის მაჩვენებლები ბევრ სკოლაში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მოზარდი თაობის საბჭოურად, კომუნისტურად აღზრდისადმი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგია ის, რომ წელს ჩვენი სკოლები უფრო ორგანიზებულად შეხვდნენ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

სახალხო განათლების შემდგომ აღმავლობაზე უდიდესი გავლენა იქონია საბჭოთა მთავრობის ისტორიულმა ღონისძიებებმა: სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნამ და საშუალო სკოლის უფროს კლასებში ფასიანი სწავლების დაწესებამ. ამ ღონისძიებებმა კიდევ უფრო აამაღლეს დისციპლინა, მოსწავლეები ახლა უფრო სერიოზულად, მეტი ყურადღებითა და მონდომებით ეკიდებიან სკოლაში მეცადინეობას, მასწავლებლებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მოსწავლეთადმი წაყენებული მოთხოვნები.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის გაშლილი ბრძოლა სოციალისტური შრომის მაღალი, შეგნებული დისციპლინისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების ურყევად განხორციელებამ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობაში კიდევ უფრო განამტკიცა დისციპლინა და სკოლებში აამაღლა სწავლების ხარისხი.

მართალია ამ მხრივ ჩვენმა სკოლებმა სასწავლო წლის პირველ მეოთხედში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს, მაგრამ მიღწეულით არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკმაყოფილდეთ.

ეს მით უმეტეს, რომ მიღწევებთან ერთად ჩვენი სკოლების მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებებიც გვაქვს. თბილისის სკოლების 78 ათასამდე მოსწავლიდან ერთ, ორ, სამ და მეტ საგანში ცუდი წარმატებულობა გამოიჩინა 24.714 მოსწავლემ, მათ შორის ხუთ და მეტ საგანში ცუდი წარმატებულობა გვიჩვენა 7 ათასზე მეტმა მოსწავლემ.

წელს სასტიკი ბრძოლა გამოცხადა ე. წ. პროცენტომანიას. ბევრი სკოლის (თბილისის 1, მე-9, მე-73, მე-64 და სხვ.) ხელმძღვანელებს, რომლებიც წარმატებულობის პროცენტებს გამოდევნებულნი, უგულებელჰყოფდნენ სკოლაში ბოლშევიკური მუშაობის გაშლას, პასუხი მოეთხოვათ წარმატებულობის მაჩვენებლების ხელოვნურად გაბერვისათვის. ყველაფერი ეს, მართალია, მხედველობაში მისაღებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მდგომარეობა მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი.

აქა-იქ ჯერ კიდევ გავრცელებულია შემცდარი შეხედულება, თითქოს სასწავლო წლის პირველ მეოთხედში დასაშვები იყოს მოსწავლეთა წარმატებულობის ცუდი მაჩვენებლები, რადგან ამის გამოსწორება იყოლ შესაძლებელია სასწავლო წლის უკანასკნელ მეოთხედშიო.

ეს შეხედულება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისაღებად ჩავთვალოთ. სახალხო განათლების ორგანოები, სკოლები, მასწავლებლები აქედანვე უნდა დაირაზმონ იმისათვის, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ყოველდღიურად მიმდინარეობდეს გეგმაშეწონილი მუშაობა სახელმწიფოს მიერ სკოლისათვის დაწესებული პროგრამების შესრულებისათვის, სწავლების ხარისხისა და დისციპლინის შემდგომი ამაღლებისათვის.

სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლებისა და სკოლებში ბოლშევიკური დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლასთან ერთად სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საბჭოთა მთავრობის სახელოვანი მეთაურის ამხანაგ ვ. მოლოტოვის მითითების უნაკლოდ განხორციელებას. ამხანაგმა ვ. მოლოტოვმა ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მოსწავლეებმა აუშუალო სკოლის დამთავრების წინ მიიღონ თუნდაც ნაწილობრივი მომზადება მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის.

ეს გარემოება ჩვენი სკოლების ხელმძღვანელებს ავალებს გააძლიერონ ყურადღება მოსწავლეთა შრომითი აღზრდისადმი, ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მოსწავლეებში ამთავითვე მტკიცედ ინერგებოდეს სოციალისტური შრომისადმი სიყვარული.

ამ მხრივ უეჭველად ერთგვარი წარმატებები აქვს მოპოვებული საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეს, ჩიბათის (ლანჩხუთის რაიონი) საშუალო სკოლას, სადაც სანიმუშოდ არის მოწყობილი სასკოლო საცდელი მეურნეობა, მოსწავლეები თავიდანვე ეჩვევიან რაიონში გავრცელებული ტექნიკური კულტურების მოვლას, მათში მუშავდება სასოფლო-სამეურნეო შრომისადმი ინტერესი და სიყვარული, მოსწავლეები ცდილობენ სკოლაში შეძენილი ცოდნა მჭიდროდ დაუკავშირონ თავისი კუთხის მეურნეობის გაუმჯობესებას, გამოიყენონ აგროწესები, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა უკანასკნელი მიღწევები და ამავე დროს მტკიცედ შეასრულონ დაწესებული სასწავლო გეგმები და პროგრამები. სკოლაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება მათ გადაჰქვთ კოლმეურნეობაში ისე, რომ ეს არავითარ შემთხვევაში უარყოფითად არ მოქმედებს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში სოფლის სკოლებს, შეიძლება ითქვას, აქვთ ერთგვარი წარმატებები, მაგრამ ასე არ ითქმის ქალაქის სკოლებზე, სადაც ამ მხრივ ჯერჯერობით ძალიან ცოტა კეთდება. არავითარ შემთხვევაში არ იქნება სწორი ისეთი შეხედულება, რადგანაც კვალიფიციურ მუშათა კადრებს ამზადებენ სპეციალური სასწავლებლები და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლები, მაშობრივ სკოლებს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, არ ევალებოდეთ მოამზადონ მოსწავლეები მომავალი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.

სასწავლო წლის პირველი მეოთხედის წინასწარი შედეგები იმასაც მოწმობენ, რომ ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაყენებული რუსული ენის, სამოქალაქო ისტორიის (თბილისის მე-107, მე-31, მე-109, მე-23 სკოლებში), გეოგრაფიის, სამხედრო საქმის, - ფიზიკური კულტურის და სხვ. საგნების სწავლება, რასაც ახლავე უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

საბჭოთა მოწინავე მეცნიერებას დაუფლებული, სოციალისტური შრომისადმი ღრმა სიყვარულით გამსჭვალული, ფიზიკურად ჯანსაღი საბჭოთა პატრიოტების თაობის აღზრდა ჩვენი სკოლის საპატიო და პასუხსაგები ამოცანაა და ამ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში უნდა დაირაზმონ პარტიულ - კომკავშირული, საბჭოთა ორგანიზაციები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი სკოლა, საბჭოთა სკოლა ყოველთვის საუკეთესოდ მუშაობდეს.

სინოპტიკოსების სრულიად-საკავშირო თათბირი

ლენინგრადი, 20 ნოემბერი (საკდესი). დღეს მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში გაიხსნა სინოპტიკოსთა პირველი სრულიად-საკავშირო თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ხაბაროვსკის, ვლადივოსტოკის, ირკუტსკის, ნოვოსიბირსკის, ტაშკენტის, ალმა-ატის, თბილისისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების სინოპტიკოსები, არქტიკის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის, სამხედრო - საზღვაო აკადემიის, პულკოვოს ობსერვატორიისა და სხვა ორგანიზაციების მეცნიერი მუშაკები.

ამინდის ხანგრძლივი პროგნოზების მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა ამინდის ცენტრალური ინსტიტუტის ხანგრძლივი პროგნოზების განყოფილების უფროსმა ამხ. ს. ტ. ფალავამ.

იაროსლავლ-რიბინსკის გზა გაიხსნა

იაროსლავლი, 20 ნოემბერი (საკდესი). დღეს მთავრობის კომისიამ საექსპლოატაციოდ მიიღო იაროსლავლ-რიბინსკის გზატკეცილი, რომელიც იაროსლავლის ოლქის კოლმეურნეებმა გაიყვანეს.

გზის მშენებელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც დღეს გაიმართა ვოლკოვის სახელობის თეატრში, ერთხმად იქნა მიღებული მიმართვა ოლქის ყველა კოლმეურნისადმი. მიმართვაში კრება მოუწოდებს კოლმეურნეებს გაიყვანონ 1941 წელს იაროსლავლ-კოსტრომის გზატკეცილი.

საუკეთესო მშენებლები დაჯილდოებული არიან.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

ღ. ნ. ჭოლსტოის ხმა ჭონოგრაფში

20 ნოემბერს, ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 30 წლისთავზე, პირველად იქნა ტრანსლირებული რადიოთი ტონფილმი, რომელშიაც უკვდავყოფილია დიდი რუსი მწერლის ხმა. ტონფილმი შეიცავს ლ. ნ. ტოლსტოის რამდენიმე წერილს, მის მისალმებას იასნაია პოლიანის ბავშვებისადმი და ამავე ბავშვებისათვის ფონოგრაფით ჩაწერილ „უფეხო კაცის ამბავს". ძველი ცვილის ლილვაკებიდან ტოლსტოის ხმა ტონფილმზე სავსებით დამაკმაყოფილებლად არის გადაღებული.

ტონფილმი, რომელსაც წამძღვარებული აქვს მწერლის ლიტერატურული მდივნის ნ. ნ. გუსევის კომენტარები და ნარკვევი „ედისონის საჩუქარი", ტრანსლირებულ იქნა მთელს ჩვენს ქვეყანაში. გადაწყდა ლ. ნ. ტოლსტოის ხმა ჩაიწეროს გრამოფონის ფირფიტებზე, რომლებიც დაეგზავნება ადგილობრივ რადიოკომიტეტებს.

(საკდესი).

ახალი მარკის საათი

პენზის საათის ქარხანა ამზადებს მამაკაცის ახალი მაჯის საათის „ზიფ-26" სერიულ გამოშვებას. მამაკაცის მაჯის საათის „ზიფ-18"-საგან, რომელსაც ქარხანა ამჟამად უშვებს, იგი განსხვავდება გარეგნული შესახედაობით და უფრო მარტივი კონსტრუქციით. გაისად ქარხანამ უნდა გამოუშვას ახალი მარკის 15 ათასი საათი (საკდესი).

ქრონიკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მისალმების დეპეშები მიიღო ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ლინ-სენისაგან, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ისმეტ ინენიუსაგან, იუგოსლავიის პრინც-რეგენტ პავლესაგან, სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ტისოსაგან, ირანის შაჰ რეზა-პეხლევისაგან, ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ-შაჰისაგან.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელზე მისალმების დეპეშები გამოჰგზავნეს თურქეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა რეფიკ საიდამმა, თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა შუქრი სარაჯოღლუმ, სლოვაკიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ტუკამ.

ამხ. მ. ი. კალინინმა და ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა საპასუხო დეპეშები გაჰგზავნეს და მადლობა გადაუხადეს მისალმებისათვის. (საკდესი).

№ 16 საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 20 ნოემბრის ბრძანებულებით საჰურვლის ახალ ნიმუშთა წარმატებით ათვისებისათვის № 16 საკონსტრუქტორო ბიუროს 17 მუშაკი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: მიხეილ ნიკიტას-ძე ბაბურინი—წამყვანი კონსტრუქტორი და იაკობ გრიგოლის-ძე ტაუბინი—საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 1 კაცი, „წითელი ვარსკვლავის" ორდენით — 3 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით— 3 კაცი და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"— 8 კაცი. (საკდესი).

აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის დაკრძალვა

გუშინ, დილის 11 საათიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო თბილისის მშრომელთა მისვლა უკანასკნელი გამოთხოვებისათვის განსვენებული აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის კუბოსთან. თითქმის 6 საათის განმავლობაში განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდნენ ცხედართან დედაქალაქის სწარმოთა სტახანოველები, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურისა და კულტურის სხვადასხვა დარგების მუშაკები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სკოლების წარმომადგენლები, სტუდენტები. მოსწავლეები, პიონერები. გამოუთქმელი მწუხარებით აღბეჭდილი სახეები უხმოდ უვლიდნენ გარს კუბოს, რომელშიც ესვენა ცხედარი, მდუმარებით ეთხოვებოდნენ საყვარელ მეცნიერს და დიდ მოქალაქეს.

საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა კუბოს პოსტამენტზე ფრთხილად ალაგებდნენ გვირგვინებს, ყვავილების თაიგულებს განსვენებულის წინაშე თავისი გულწრფელი პატივისცემის გამოსახატავად. ათასობით მშრომელებმა ჩაიარეს კუბოსთან, რომ ერთხელ კიდევ თვალი შეევლოთ იმ ადამიანის ხათელი შუბლისათვის, რომელმაც თავის სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე შუქი მოჰფინა საქართველოს წარსულის ბინდით მოცულ მრავალ მოვლენას და ჩამოაყალიბა იგი საბჭოთა კავშირის ერთერთი უძველესი ხალხის — ქართველი ხალხის მეცნიერულ ისტორიად.

დილიდანვე საპატიო ყარაულში დგებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-პედაგოგები და მეცნიერ მუშაკები, დიდი სიყვარულით იკვლევდა მეზობელ, მოძმე ხალხთა ისტორიასაც. მისი შრომები ამიერ-კავკასიის ხალხთა, კერძოდ სომხეთის ხალხის ისტორიაზე ძვირფასი განძია მეცნიერებაში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი დიდად აფასებდნენ თავისი გამოჩენილი მეცნიერის მოღვაწეობას. 1938 წელს საქართველოს მშრომელებმა ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. პარტიამ და მთავრობამ იგი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

მშრომელთა სიყვარულით, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღფრთოვანებული ივანე ჯავახიშვილი უდიდეს ენერგიით განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას. მაგრამ სიკვდილმა მას მოუსწრო საბრძოლო პოსტზე.

აღარა გვყავს დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი, მაგრამ მის ხსოვნას არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი საბჭოთა ხალხი.

პროფ. ალ. ჯანელიძეს გამოაქვს წითელი ბალიში, რომელზედაც დამაგრებულია აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის მიერ საბჭოთა მთავრობისაგან მიღებული მაღალი ჯილდო—შრომის წითელი დროშის ორდენი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ნიშანი.

ცხედარს უკან მიჰყვებიან ამხანაგები ფილიპე მახარაძე, კ. შეროზია, გ. სტურუა, ი. თავაძე, ალ. მირცხულავა, ე. ჩერქეზია, ვ. ეგნატაშვილი, ა. კვაჭაძე, ი. წიქლაური, პ. მჭედლიძე, გ. გოჩაშვილი, თ. ბირკაძე, ბ. გოგუა, შ. ჯაფარიძე, ბ. ქიზირია, ი. ფრანგულიანი, აკადემიკოსები: ე. ჩუდაკოვი და ი. ბერიტაშვილი, მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალის წარმომადგენელი იაგუბოვი, სომხეთის მეცნიერთა დელეგაცია, მწერლები, განსვენებულის ნათესავები და სხვ.

უნივერსიტეტის წინ ფრთხილად დაასვენეს ცხედარი. მთავრობის მიერ გამოყოფილი დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. სტურუამ გახსნა სამგლოვიარო მიტინგი.

ამხ. გ. თ. სტურუას სიტყვა

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ სამუდამოთ ვემშვიდობებით გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილს.

ამ შესანიშნავი ადამიანის სიკვდილმა ღრმად დაამწუხრა არა მარტო მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები და მოწაფეები, არამედ ადრეთვე მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების ყველა მუშაკი, მთელი საქართველოს მშრომელნი, რადგან ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა ჭეშმარიტი მეცნიერების სამსახურს, მშრომელი ხალხის სამსახურს.

საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით მე მწუხარებას გამოვთქვამ ამ მძიმე დანაკლისის გამო და ღრმად თანაგრძნობას ვუცხადებ განსვენებულის ოჯახის წევრებს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს.

ივანე ჯავახიშვილი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ და სანაგებო მეცნიერულ მუშაობას. მისი ნიჭი განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა დიდ მეცნიერს შექმნილი ჰქონდა ყოველგვარი პირობები მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

დიდია ჯავახიშვილის ღვაწლი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების აყვავების საქმეში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილი არის ქართველი ხალხის — საბჭოთა კავშირის ამ ერთერთი უძველესი ხალხის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელით სიტყვას ამბობს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ე. ჩუდაკოვი.

თავისი სიტყვის დასაწყისში აკად. ე. ჩუდაკოვმა აღნიშნა, რომ უდიდესი მეცნიერის, შესანიშნავი ადამიანის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის სიკვდილი მძიმე დანაკლისია არა მარტო მისი მახლობლებისა და ნათესავებისათვის, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის, მთელი საბჭოთა მეცნიერებისათვის. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ დაჰკარგა თავისი ნამდვილი წევრი, თავისი საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმის წევრი, უდიდესი მეცნიერი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს და კავკასიის სხვა ქვეყნების ისტორიის მეცნიერულ შესწავლას და ამით დიდი განძი შეიტანა მოწინავე საბჭოთა ისტორიული მეცნიერების საუნჯეში. დაუცხრომელი ენერგია, მგზნებარე ენტუზიაზმი, ღრმა ცოდნა, მეცნიერული კვლევის სიზუსტე და სამართლე დამახასიათებელი იყო ი. ჯავახიშვილისათვის, ამავე დროს იგი იყო პრაქტიკული მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე შეალია თბილისის უნივერსიტეტის მოწაფეობას და საბჭოთა მეცნიერების კადრების აღზრდას, რომელთაც ის უნერგავდა მაღალ სულიერ თვისებებს.

— ამ მწუხარებისა და საერთო გლოვის წუთებში ჩვენ ისა გვაქვს საამაყო,—ამბობს აკად. ე. ჩუდაკოვი,—რომ აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი გარდაიცვალა საბრძოლო პოსტზე, როგორც ეს სოციალისტური სამშობლოს ერთგულ შვილს შეჰფერის. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერებისათვის მაგალითის მიმცემი იქნება. ისინი ისწავლიან მისგან, თუ როგორ უნდა მუშაობა ხალხის საქმისათვის, საბჭოთა მეცნიერების საქმისათვის.

— მისი ხსოვნა სამუდამოდ იცოცხლებს ჩვენს გულში — ამთავრებს სიტყვას აკად. ე. ჩუდაკოვი.

სიტყვით გამოდის სომხეთის სამეცნიერო ორგანიზაციათა დელეგაციის თავმჯდომარე პროფ. ო. მელიქიანი. იგი ამბობს, რომ აკად. ი. ა. ჯავახიშვილის სიკვდილმა ღრმად დაამწუხრა საბჭოთა მეცნიერები. მის დაკარგვას მწვავედ განიცდიან სამეცნიერო ორგანიზაციები მოძმე სომხეთისა, რომლის ისტორიის შესწავლას აკად. ი. ა. ჯავახიშვილმა არაერთი შესანიშნავი შრომა უძღვნა. იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერული ისტორიის შემქმნელი. დაჯილდოებული იყო რა შესანიშნავი ბუნებრივი ნიჭით, სახელოვანი მეცნიერი დაუღალავად მუშაობდა. იგი უდიდესი სიყვარულით, საქმის ღრმა ცოდნით აგროვებდა და მეცნიერულად ამუშავებდა მშობლიური ქვეყნის ფაქტებით სავსე, მდიდარი ისტორიის მასალებს, ახდენდა ახალ დიდმნიშვნელოვან აღმოჩენებს, ხელმძღვანელობდა და ზრდიდა ახალგაზრდა მეცნიერთა მრავალრიცხოვან კადრებს.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილი თავის ამოცანას ვერ წვრილ როდი ჰფარგლავდა. იგი, როგორც ნამდვილ მეცნიერს შეჰფერის, მშობლიური ქვეყნის ისტორიასთან ერთად, დიდი სიყვარულით იკვლევდა მეზობელ, მოძმე ხალხთა ისტორიასაც. მისი შრომები ამიერ-კავკასიის ხალხთა, კერძოდ სომხეთის ხალხის ისტორიაზე ძვირფასი განძია მეცნიერებაში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი დიდად აფასებდნენ თავისი გამოჩენილი მეცნიერის მოღვაწეობას. 1938 წელს საქართველოს მშრომელებმა ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. პარტიამ და მთავრობამ იგი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

მშრომელთა სიყვარულით, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღფრთოვანებული ივანე ჯავახიშვილი უდიდეს ენერგიით განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას. მაგრამ სიკვდილმა მას მოუსწრო საბრძოლო პოსტზე.

აღარა გვყავს დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი, მაგრამ მის ხსოვნას არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი საბჭოთა ხალხი.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

სლოვაკიის სავაჭრო დელეგაციის ჩამოსვლა

ა. წ. 20 ნოემბერს მოსკოვს ჩამოვიდა სლოვაკიის სავაჭრო დელეგაცია, რომელშიაც შედიან: დელეგაციის თავმჯდომარე—ბ-ნი იან ორსაგი, დელეგაციის წევრები — ბ-ნი პაზმანი — სლოვაკიის ნაციონალური ბანკის დირექტორი —ბ-ნი დისკანტინი — ფინანსთა სამინისტროს მთავარი სამინისტრო კომისარი, ბ-ნი პეტერკა — სახალხო მეურნეობის სამინისტროს მთავარი კომისარი, ბ-ნი სტინეკი — სლოვაკიის მრეწველობის ცენტრალური საზოგადოების მდივანი და ბ-ნი ონდრუშეკი — „ბატიას" ქარხნების განყოფილების გამგე.

ბელორუსიის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, სავაჭრო ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსი ამხ. დ. დ. მიშუსტინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური ევროპის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ე. ს. გერმანი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო ნაწილის უფროსი ამხ. ს. ა. ვშივკოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეფერენტი ამხ. ლ. ი. ზოლოტოვა, აგრეთვე სლოვაკიის მოსკოვის მისიის შემადგენლობა საგანგებო დესპანისა და სრულუფლებიანი მინისტრის ბ-ნ ტისოს მეთაურობით. (საკდესი).

№ 16 საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 20 ნოემბრის ბრძანებულებით საჰურვლის ახალ ნიმუშთა წარმატებით ათვისებისათვის № 16 საკონსტრუქტორო ბიუროს 17 მუშაკი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: მიხეილ ნიკიტას-ძე ბაბურინი—წამყვანი კონსტრუქტორი და იაკობ გრიგოლის-ძე ტაუბინი—საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 1 კაცი, „წითელი ვარსკვლავის" ორდენით — 3 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით— 3 კაცი და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"— 8 კაცი. (საკდესი).

აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის ცხედრის გამოსვენება სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობიდან.

საქდესის ფოტოქრონიკა.

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი

აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის დაკრძალვა
(დაასრული)

ნამშრომელთა სახელით მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პროფ. ა. მახიძემ. მან ვრცლად დაახასიათა განსვენებულ აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის მეცნიერული, პედაგოგიური და სახოგადოებრივი მოღვაწეობა და აღნიშნა, რომ მასში თანაბრად შეზავებული იყო ბუნება დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანისა.

— შენ დიდი იყავ, ბუმბერაზი იყავ, — მიმართავს იგი ცხედარს, — იშვიათი ნიჭით, გონების გამჭრიახობით, მრავალმხრივი ცოდნით, ენერგიული შრომით, ფართო საქმიანობით, მოვალეობის შეგნებით. მაგრამ ამასთან ერთად შენ გამკობდა და გამშვენებდა ბუნებრივი უბრალოება და იშვიათი თავდაბლობა, რომელიც ეგრეხიბლავდა ყველას, ვისაც კი ერთხელ მაინც რაიმე საქმე ჰქონია შენთან.

შემდეგ პროფ. ა. შანიძემ აღნიშნა განსვენებულის დიდი დამსახურება ქართული საბჭოთა მეცნიერების წინაშე, მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში. ამავე დროს იგი იყო საბჭოთა საქართველოს აწმყოს დიდი ენტუზიასტი.

— შენ გახარებდა ყველაფერი, რაც ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მოღონიერებას და დაწინაურებას, — ამბობს ორატორი, — ამიტომ იყო, რომ აღტაცებით ეგებებოდი ელექტროსადგურებისა და შარხნების გამრავლებას, კოლხეთის ჭაობების ამოშრობის პრობლემის გადაწყვეტას, იქ ტექნიკურ კულტურათა ბაღნარის შექმნას, ქართლში—საქართველოს გულში სოფლის მეურნეობის შემდგომ ალმავლობას და პარტიისა და ხელისუფლების სხვა მნიშვნელოვან დადგენილებებს.

— შენს მიერ გაკეთებულ დიდ საქმეებს შორის, ყველაზე დიდია და ძვირფასი ის მეთაურობა, რომელიც შენ იკისრე დიდი სამეცნიერო მოძრაობის დროს, რომელიც მოჰყვა პირველ მსოფლიოს ქარცეცხლს და რომელმაც ფართო გასაქანი ჰპოვა დიდი ოქტომბრის შემდეგ. ამ მოძრაობის ნაყოფია შენს მიერ საფუძველჩაყრილი უნივერსიტეტი, რომელმაც თავის წიაღიდან რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი წარმოშვა. სხვა რომ არაფერი გაგეკეთებინა, ესეც საკმარისი იქნებოდა შენი სახელის უკვდავსაყოფად. მაგრამ ამას გარდა, შენ აღზარდე მრავალი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლებიც მუდამ კრძალვით და მადლობით ახსენებენ შენს სახელს.

— მშვიდობით დიდო მეცნიერო, დიდო ადამიანო, — ამთავრებს სიტყვას პროფ. ა. შანიძე.

— მეცნიერება ხალხისათვის, — მიმართავს განსვენებულს პროფ. ს. ჯანაშია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის სახელით—ამ ლოზუნგს ემსახურებოდა პირნათლად აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი. ი. ჯავახიშვილმა ხელი მოჰკიდა უნივერსიტეტის დაარსების საქმეს, რადგან მშობლიურ მეცნიერებას ჯერ მეცნიერული კადრები ესაჭიროებოდა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლების მადლიანი ხელი შეეხო ჩვენს ქვეყანას, აყვავდა კულტურა, განხორციელდა უდიდესი მეცნიერის ოცნება. მთელი თავისი ერუდიციით, ახალგაზრდული გატაცებით ემსახურებოდა იგი საბჭოთა მეცნიერებას, დაუღალავად ზრდიდა ახალ კადრებს. აყვავებული საბჭოთა საქართველოს ახალ „ქართლის ცხოვრებაში“ სამუდამოდ აღიბეჭდება ქართული კულტურის ამ დიდი მოღვაწისა და მოამაგის სახელი. მადლიერმა ხალხმა და საბჭოთა მთავრობამ მისი ღვაწლი სათანადოდ დააფასეს.

პროფ. ს. ჯანაშია შეეხო აკად. ი. ჯავახიშვილის მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობას, რომელიც დიდი ყურადღებით იქნება ათვისებული და შესწავლილი საბჭოთა მეცნიერების ახალი თაობების მიერ.

მშვიდობით, ძვირფასო მასწავლებელო, — ამთავრებს სიტყვას პროფ. ს. ჯანაშია.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა შალვა დადიანმა. მან აღნიშნა დიდი სიბრძნისმეტყველის ფასდაუდებელი ღვაწლი და დამსახურება მშობლიური კულტურისა და ხალხის წინაშე და სთქვა:

— ლამაზი იყო მისი სიცოცხლე. მაგრამ არანაკლებ ლამაზია უკანასკნელი პორტრეტი მისი ცხოვრებისა: მეცნიერი კაცი კათედრაზე, რომელიც თავის წიგნიდან საქმეს აკეთებს, კითხულობს ლექციას და ამ დროს სწყდება მისი მაგისკუმა. ჭეშმარიტად, რჩეულის ხვედრია ასეთი სიკვდილი.

— სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლობა მთელს ქართველ ხალხთან ერთად დიდად გლოვობს ამ ძვირფასი მეცნიერის დაკარგვას და გულისტკივილით აცილებს მას სამარემდე, — ამთავრებს თავის სიტყვას შ. დადიანი.

აფხაზეთის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ჭოჭუამ.

— აფხაზეთის ასსრ მთავრობა, ყველა მშრომელი, აფხაზეთის მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, — ამბობს ის,—საქართველოს ყველა მშრომელებთან ერთად ღრმა მწუხარებას განიცდიან აკად. ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების გამო.

— დაე აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელი მუდამ უკვდავი იყოს ჩვენში. დაე იგი მუდამ იყოს საბჭოთა მეცნიერებისათვის თავდადების, მაღალი პრინციპულობის, ხალხისადმი სიყვარულის მაგალითის მიმცემი.

— გემშვიდობებით უნივერსიტეტის სტუდენტების სახელით, ძვირფასო მასწავლებელო და დიდო მეცნიერო, — მიმართავს ცხედარს ფრიადოსანი სტუდენტი ამხ. ფ. ბაინდურაშვილი, — სიტყვას გაძლევთ უფრო გაგაძლიეროთ ბრძოლა თქვენს მიერ დასახული მიზნებისათვის, მეცნიერების დაუფლებისათვის. თქვენი შრომები იქნება ჩვენი განუყრელი მეგობარი.

○

მიტინგი სრულდება. ორკესტრის ძლევარ სამგლოვიარო ჰანგებში. ზღვა ხალხი შუა იყოფა და უთმობს გზას ცხედარს თბილისის უნივერსიტეტის მეორე დიდი მოამაგის პეტრე მელიქიშვილის საფლავის მახლობლად გათხრილ სამარემდე. აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის ცხედარს ნელი ნაბიჯით მიასვენებენ სამარესთან პროფესორები, მიაცილებენ ნათესავები და ახლობლები.

საღამოს 6 საათსა და 15 წუთზე სამგლოვიარო ჰიმნის ჰანგებში ცხედარი სამარეში ჩაასვენეს.

ხალხი დიდხანს არ იშლება და მდუმარებით ეთხოვება დიდებული მეცნიერის სამარეს.

დიდი მეცნიერის გზა

დიდი მეცნიერის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მთელი ცხოვრება მეცნიერებისათვის სამსახური იყო. სტუდენტობის ხანიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავისი ძლიერი ნებისყოფა, უშრეტი ენერგია და მაღალი ენტუზიაზმი ქართული კულტურის მდიდარი ისტორიის შესწავლის საქმეს შეალია.

ჯერ კიდევ ცარიზმის შავბნელ ხანაში ის, მის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსებული ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მეშვეობით ქართული სამეცნიერო კადრების მომზადებას და სამეცნიერო მწერლობის განვითარებას ეწეოდა. აკრძალვის მიუხედავად, პეტერბურგის უნივერსიტეტში ის ლექციებს კითხულობდა, რითაც მშობლიური მეცნიერების განვითარებას ხელს უწყობდა და მშობლებში მისდამი სიყვარულს აღვივებდა.

ახალ პირობებში, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, როცა მოწინავე მეცნიერება ლენინ-სტალინის დიადი პარტიის შეუნელებელი ყურადღებითა და მზრუნველობითაა მოცული, ი. ჯავახიშვილმა ფართოდ გაშალა თვისი სამეცნიერო მოღვაწეობა. მან აღზარდა გამოჩენილ მეცნიერ-მუშაკთა რამდენიმე თაობა.

მრავალმხრივი და უალრესად ნაყოფიერია მისი სამეცნიერო მოღვაწეობა. არ დარჩენილა ქართული კულტურის ისტორიის თითქმის არცერთი დარგი, ი. ჯავახიშვილს რომ არ გამოეკვლიოს და მრავალი, წყვდიადით მოცული საკითხისათვის ფარდა არ აეხადოს. თავისი სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგად მან ქართულ ძველ კულტურას სპატიო ადგილი მოუპოვა მსოფლიო ისტორიაში. მან დაადგინა, რომ ქართველ ხალხს თავისი წვლილი შეუტანია სჯაბოძრით კულტურის საგანძურში.

დიდია აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა. განსვენებულის სიცოცხლე შესწყდა ხელნაწერის გადაშლილ ფურცელზე. ჩვენი ხალხის წარსულის მრავალი პრობლემა და საკითხი დარჩა მას გამოსაკვლევი. საბჭოთა ისტორიული მეცნიერება გაათკეცებული ენერგიით განაგრძობს ამ დიდი მეცნიერის სიკვდილით უდროოდ შეწყვეტილ მუშაობას.

დოცენტები: ვ. ბარდაველიძე, ვ. ფუთურიძე, გ. ჩიტაია

ი. ჯავახიშვილი (მარცხნივ) და ნ. მარი (მარჯვნივ) სინას მთის ქართველთა მონასტერში 1902 წელს.

კულტურის დიდი ისტორიკოსი

შესანიშნავი ორიენტალისტი და კავკასიოლოგი, დიდი საბჭოთა მეცნიერი - ისტორიკოსი აკად. ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი, ავტორი მრავალი კაპიტალური გამოკვლევისა და ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერების კადრების აღმზრდელი იყო.

აკად. ი. ჯავახიშვილმა მისი ღირსეული მასწავლებლის აკად. ნ. მარის მიერ დაფუძნებული ქართველოლოგია განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანა.

სტუდენტობიდანვე იწვრთნებოდა ის ნ. მარის უშუალო ხელმძღვანელობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ი. ჯავახიშვილი გაეგზავნა გერმანიაში, სადაც მუშაობდა ცნობილ პროფ. ჰარნაკთან საეკლესიო ისტორიაში.

გერმანიიდან დაბრუნებისას მასწავლებელმა წაიყვანა ის სინას მთაზე ქართულ ხელნაწერებზე სამუშაოდ (1902 წ.). ი. ჯავახიშვილის ამ პერიოდის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა ნ. მარმა სინას მთაზე მუშაობის წარსწარ ანგარიშში, რომელიც 1903 წელს გამოქვეყნდა. მალე ი. ჯავახიშვილმა წარმატებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია ნაშრომით: „ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“ (1905 წ.).

ამის შემდეგ მოწაფე მხნედ ამოუდგა მასწავლებელს გვერდში და ორივე ერთად ეწეოდა დიდ შრომას. ი. ჯავახიშვილს წილი მოუძღვის ისეთი ქართველოლოგების და არმენისტების აღზრდაში, როგორიც იყო პროფ. ი. ყიფშიძე და არიან: აკად. ი. ორბელი, აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფ. ა. შანიძე და სხვები. ის მხარში ედგა ნ. მარს ისეთი დიდი გამოცემების დაძლევაში, როგორიც იყო სერია წიგნებისა „ტექსტები და ძიებანი სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში“, „ქრისტიანული აღმოსავლეთი“, „არმენიკა-გეორგიკა“ და სხვ.

ამავე დროს ივ. ჯავახიშვილი ბეჭდავდა საკუთარ ნაშრომებს და ემზადებოდა თავისი მოღვაწეობის იმ მეორე დიდი ეტაპისათვის, რომელიც მისი საქართველოში გადმოსვლიდან და საქართველოს უნივერსიტეტის დაარსებიდან იწყება.

ნ. მარის მუშაობის ძირითადი პრინციპი, რომ ქართველოლოგია საქართველოს ფარგლებს უნდა გაშორდეს და ქართველოლოგიის ყოველი პრობლემა მეზობელი ხალხების სათანადო სამეცნიერო პრობლემებთან კავშირში უნდა ისწავლებოდეს და წყდებოდეს, ი. ჯავახიშვილს მუდამ სახელმძღვანელო პრინციპად ჰქონდა და არასდროს მისთვის არ უღალატია.

ი. ჯავახიშვილის მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის რომელი დარგიც არ უნდა აიღოთ — ისტორია, არქეოლოგია, ნუმიზმატიკა, პალეოგრაფია, ენათმეცნიერება, ფილოლოგია, ფოლკლორისტიკა და კერძოდ — ძითოლოგია, ეთნოგრაფია თუ სხვა, იგი ყველგან ქართველოლოგიის პრობლემებს აკავშირებს მეზობელ ხალხთა-მკვლიერობის სათანადო სამეცნიერო პრობლემებთან და ისე იკვლევს.

ჩვენი დიდი ეპოქის შესანიშნავი სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწე — მხედრული აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი სამარადისოდ იცოცხლებს მადლიერი ხალხის გულში.

დოც. ი. მეგრელიძე

აკად. ი. ჯავახიშვილი კუბოში

მხატვარ უჩა ჯაფარიძის ნახატი.

ჩვენი ივანე ჯავახიშვილი

საქართველოს ხალხმა დაკარგა სახელოვანი შვილი, დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი.

ი. ჯავახიშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართულ საბჭოთა არქეოლოგიასაც, რომელსაც მან გაუკაფა მეცნიერული გზა, ხოლო მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა უძვირფასესი ძეგლები მისცა მეცნიერებას.

იშვიათი, უნიკალური სახის ძეგლები, რომლებიც მოპოვებულია ივანე ჯავახიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და რომლებითაც შეუძლიათ იამაყონ მსოფლიოში ცნობილმა მუზეუმებმა, დღეს დაცულია ჩვენს მუზეუმში და ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომია.

ჩვენი დამწერლობის მეხუთე საუკუნის ძეგლი, რომელიც ჯერჯერობით ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლად ითვლება, ივანე ჯავახიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით არის აღმოჩენილი და დღეს ჩვენს მუზეუმს ამშვენებს და ჩვენი კულტურის დიდ წარსულზე მეტყველებს.

ივანე ჯავახიშვილის დიდ ერუდიციას, მის დიდ ავტორიტეტს და მის დაუზარებელ ამაგს უნდა უმადლოდეს საქართველოს მუზეუმიც, რომელმაც თავისი მუშაობა გააფართოვა, გარდაჰქმნა და გააუმჯობესა.

ივანე ჯავახიშვილმა შეჰქმნა საქართველოს მუზეუმში ისტორიის განყოფილება. მისივე ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს მუზეუმში მთელი რიგი ლაბორატორიები, მანვე მოაწყო საქართველოს მუზეუმში რუსთაველის გამოფენა და საფუძველი ჩაუყარა რუსთაველის მუზეუმს.

კიდევ ბევრის, ძალიან ბევრის თქმა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მუშაობაზე, რომელიც ასე ღირსეულად დააფასეს საბჭოთა ხელისუფლებამ და ქართველმა ხალხმა.

ივანე ჯავახიშვილი აღარა გვყავს, მაგრამ მას საკმაო რაოდენობით დარჩა მოწაფეები. ბედნიერ საბჭოთა საქართველოს მოეპოვება ბევრი მუშაკი, რომლებიც სახელოვნად განაგრძობენ დიდი მეცნიერის მიერ წამოწყებულ საქმის.

პროფ. გ. ნიორაძე

საქართველოს მშრომელთა დელეგაცია უკრაინაში

დროგობიჩი, 21 ნოემბერი (ჩვენი სპეც. კორ.). 20 ნოემბერს საქართველოს დელეგაციის წევრთა — ნავთის მუშაკთა ჯგუფი ლვოვიდან გაემგზავრა დროგობიჩში. დელეგატებს შეხვდნენ დროგობიჩის საოლქო პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები. შუადღისას მიტინგზე მიწვეულმა დელეგატებმა ინახულეს დროგობიჩის ნავთისგადამმუშავებელი პირველი ქარხანა. ქარხნის მუშები სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ. მიტინგზე გამოთქვეს მუშები, რომლებმაც უამბეს სტუმრებს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ავსტრია-უნგრეთის იმპერატორის დროს, ხოლო შემდეგ, პოლონელი პანების ბატონობის დროს. ახლა ყველანი ბედნიერად ცხოვრობთ, სამუშაო გვაქვს, ჩვენი შვილები სწავლობენ. მადლობა დიდ **ხტალინს** ბედნიერი ცხოვრებისათვის.

შემდეგ დელეგატები წაიყვანეს პოლონეთის ბურჟუაზიის ყოფილი კუროორტის ტრუსკავცის დასათვალიერებლად, რომელიც კარპატების ძირში მდებარეობს. ამჟამად ტრუსკავცი მომსახურებას უწევს ადგილობრივ მუშებსა და გლეხებს.

ტრუსკავციდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ქალაქი ბორისლავლი. დელეგატები იქ საღამოს ჩავიდნენ. დელეგაციის პატივსაცემად ქუჩებში გაბმართა დემონსტრაციები. დემონსტრანტები დროშებით, სარჩევნო ლოზუნგებით, ორკესტრებით გაემართნენ სტადიონისაკენ. გაისმოდა მისასალმებელი შეძახილები დიდი სტალინის, ხალხთა ბელადის, პატივსაცემად სტადიონზე თავი მოიყარა 10 ათასამდე მშრომელმა. შიდიონზე ახალი ლოზუნგები. უმრავლესობას შეადგენდნენ ნავთის ქარხნების მუშები. გაიხსნა მიტინგი. შეერთებული ორკესტრი ასრულებდა „ინტერნაციონალს“. ელემტროს სხივებზე ფრიალებდა დროშები, ბრწყინავდა ბელადისა და მის თანმებრძოლთა პორტრეტები.

სიტყვებით გამოვიდნენ ბორისლავლის მოწინავე მუშები. ამხ. კრავჩუკი, სენკო, კოგუტი, სუმენკოვი. კობახიძე, ფირანიშვილი და სხვა ბორისლავლელები უამბობდნენ სტუმრებს სარეწაოების აღდგენაზე, რომლებიც პოლონური ხელისუფლების დროს თავმინებებული იყო, წარსულ უმუშევრობაზე, დღევანდელ საამურ ცხოვრებაზე.

მიტინგი გადაიქცა ხალხთა მეგობრობის, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის სიმტკიცის ნამდვილ დემონსტრაციად. გაისმოდა სიტყვები უკრაინულ, პოლონურ, რუსულ, ქართულ, ებრაულ ენებზე.

ბორისლაველმა ნავთის მუშაკებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს საქართველოს ნავთის მუშაკები. შეჯიბრების ხელშეკრულება სათანადოდ ხელმოწერილ იქნა მიტინგზევე.

ბორისლაველ მშრომელთა მრავალათასიანმა მიტინგმა მისალმების დეპეშა გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს** და უკრაინის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ **ხრუშჩოვს.**

ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავი საღამოები, ლექციები და მოხსენებანი

თბილისის საზოგადოებრიობა ფართოდ ემზადება ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 120 წლისთავის (28 ნოემბერი) აღსანიშნავად. წითელი არმიისა და ფლოტის სახლში ამზადებს სპეციალურ საღამოს, რომელიც 29 ნოემბერს შესდგება. საღამომდე რამდენიმე დღით ადრე ჩატარდება ლექცია ფრიდრიხ ენგელსის ნაშრომზე „ბუნების დიალექტიკა“.

კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა აწყობს ფრიდრიხ ენგელსის ნაწარმოებთა დიდ გამოფენას. ლიტერატურის გამოფენას აწყობს აგრეთვე ლადო კეცხოველის სახელობის აგიტატორისა და პროპაგანდისტის სახლი. ეს სახლი მომხსენებლებისა და აგიტატორებისათვის აწყობს ლექციას ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

რაიონულ პარტიულ კაბინეტებში პარტაქტივისათვის ტარდება ლექციები შემდეგ თემებზე: „ენგელსი, როგორც ეკონომისტი“, „ენგელსი, როგორც ისტორიკოსი“, „ენგელსი, როგორც სამხედრო სამეცნიერო მოღვაწე“, „ენგელსის ნაშრომების მნიშვნელობა“ და სხვ.

ყველა უმაღლეს სასწავლებელში შესდგება სპეციალური სესიები, რომლებიც მიეძღვნება კარლ მარქსის თანამებრძოლისა და მეგობრის ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. სპეციალურ სესიას აწყობს აგრეთვე მარქს-ენგელს - ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი.

(საქდესი).

ენგელსის დაბადების 120 წლისთავს აღსანიშნავად

ჟუთაისი, („კომუნისტის“ კორ.). ჟუთაისში უკვე გააშალა მზადება მეცნიერული კომუნიზმის ერთ-ერთი დიდი ფუძემდებლის—ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 120 წლისთავისათვის.

ჟუთაისის წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა ამზადებს მეცნიერულ მოხსენებათა ციკლს მიძღვნილს ენგელსის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. მოხსენების თემად შერჩეულია შემდეგი საკითხები: „ფრიდრიხ ენგელსი და დიალექტიკური მატერიალიზმი“, „ენგელსი და ისტორიული მეცნიერება“, „ფრიდრიხ ენგელსი და ბუნებისმეტყველება“ და სხვ. მოხსენებას წაიკითხავენ: პროფ. კ. ბაქრაძე, დოც. მირიანაშვილი, დოც. რამიშვილი და სხვ.

ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტი უკვე შეუდგა სპეციალური გამოფენის მოწყობას, რომელიც ასახავს ენგელსის ცხოვრებას, მოღვაწეობასა და შემოქმედებას.

ინსტიტუტის პარტბიურო და დირექცია 27 ნოემბერს მართავენ ენგელსის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას.

გ. ყურაშვილი

სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლები

როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, საარტილერიო და სამხედრო-საზღვაო სპეციალური სკოლების შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკათა განათლების სახალხო კომისარიატების სისტემაში, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით, იქმნება სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლები.

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სასწავლებლების სამმართველოს უფროსმა ავიაციის გენერალ-მაიორმა ამხ. ლევინმა საკავშირო კორესპონდენტს განუცხადა:

— სამხედრო - საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლების შექმნა შეესაბამება მრავალ ათას საბჭოთა ახალგაზრდის სურვილს, რომლებიც სამხედრო ავიაციაში მუშაობისაკენ მიისწრაფვიან.

სპეციალურ სკოლებში მეცადინეობა განსახკომის პროგრამების მიხედვით იწარმოებს. თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბაზისა და გეოგრაფიის სასწავლო პროგრამებს მიემატება საავიაციო თემატიკა და სათანადო მაგალითები.

ამას გარდა, შემოღებულ იქნება დამატებითი პროგრამები, რომლებიც მოსწავლეებს გააცნობენ ჯარის საერთო ტაქტიკის და სამხედრო-საჰაერო ძალთა ტაქტიკის ელემენტებს, აგრეთვე სამხედრო ავიაციის სპეციალური დარგის ზოგიერთ საგანს. დანარჩენი საგნების სწავლება სრული საშუალო სკოლის კურსის მოცულობით იწარმოებს.

სპეციალურ სკოლებში მოეწყობა სამხედრო - საავიაციო კაბინეტები საჭირო თვალსაჩინო სახელმძღვანელოებითურთ. სკოლებში რიგ-მა ისეთივე იქნება, როგორიც შემოღებულია განსახკომის სასკოლო წესდებით. მოსწავლეები სპეციალური ფორმის ტანისამოსს ატარებენ.

სკოლებისათვის გამოყოფილ იქნებიან სამხედრო საგნების მასწავლებლები. სკოლებს დაკომპლექტებენ განათლების სახალხო კომისარიატთა ორგანოები. სკოლებში შესვლა შეუძლიათ სამი უფროსი კლასის მოსწავლეებს, რომლებსაც კარგი და ფრიადი ნიშნები აქვთ წინა სასწავლო წელსა და მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში.

სამხედრო ავიაციაში მუშაობის თავისებურებანი მოითხოვენ, რომ სპეციალურ სკოლებში მიღებულ იქნას ფიზიკურად მაგარი, ამტანი ახალგაზრდობა, რომელსაც ფიზკულტურა და სპორტი უყვარს. სკოლებში შემსვლელთ შეამოწმებენ სპეციალური სამედიცინო კომისიები. (საკდესი).

პოგედიჟი ალმასის ნაცვლად

ელექტრონის ლამფაში ანთია ვოლფრამის წვრილი მავთული-სპირალი. იგი ადამიანის თმაზე გაცილებით უფრო წვრილია და გაჭიმულ მდგომარეობაში მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალით ძნელია. ამ მავთულს მოსკოვის ელექტროლამფის ქარხანა ამზადებს ალმასის ფილიერებში მრავალკერ გაჭიმვის გზით.

მრავალი წლის მუშაობის შემდეგ ქარხნის ინჟინრებმა შესძლეს შეეცვალათ ძვირფასი ალმასი მაგარი შენადნობით — პობედიტით. ვოლფრამის 0,20 მილიმეტრ დიამეტრიანი გაჭიმული მავთული მასობრივად მზადდება პობედიტის ფილიერების მუშევრობით. ხდება ვოლფრამის უფრო წვრილი მავთულის გაჭიმვის ცდები. უახლოეს დროში ქარხანა შესძლებს სავსებით განთავისუფლდეს ალმასის მოხმარებისაგან, რითაც დიდ ეკონომიას მისცემს სახელმწიფოს.

(საკდესი).

ჩვენი სკოლა ღირსეულად ავარქმევს აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის სახელს

მიტინგი მე-18 საშუალო სკოლაში

თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებელთა მთელი შემადგენლობა და მოსწავლეები უდიდესი კმაყოფილებითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სკოლისათვის აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.

21 ნოემბერს, დილის **11** საათზე, სკოლის ეზოში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც სკოლის პედაგოგთა, მოსწავლეთა და მოსამსახურეთა გარდა, მოსწავლეთა მშობლებიც დაესწრნენ.

სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. თ. ხელაშვილმა გამოაქვეყნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება.

ჩვენს სკოლას,—სთქვა ამხ. ხელაშვილმა,—წილად ხვდა დიდი ბედნიერება: ამიერიდან იგი ატარებს გამოჩენილი მეცნიერის, ჩვენი სამშობლოს წარსულის დაუღალავი მკვლევარის, საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებლის ფუძემდებლის, მოსწავლეთა მიერ ძრის, აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის სახელს.

ის გარემოება, რომ ჩვენს სკოლას ყველასათვის ძვირფასი ადამიანის სახელი ეწოდა, გვავალებს — გავაუმჯობესოთ მთელი ჩვენი მუშაობა, ავიყვანოთ იგი უფრო მაღალ საფეხურზე, გავამრავლოთ ფრიადოსანთა რიცხვი და ღირსეული მოჭალაქენი მოვუმზადოთ ჩვენს დიად სამშობლოს.

პედაგოგთა სახელით გამოვიდა ამხ. გ. მგალობლიშვილი. მან ილაპარაკა აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის იმ უდიდეს დამსახურებაზე, რომელიც მას საქართველოს კულტურული აღორძინებისა და მისი წარსულის შესწავლის საქმეში მიუძღვის. ამხ. მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ მე-18 სკოლა ღირსეულად ატარებს აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის სახელს.

მე-10 კლასის მოსწავლეებმა — ირინე ლორთქიფანიძემ და თეიმურაზ ცისკარიძემ მე-18 სკოლის მოსწავლეთა სახელით პირობა დადეს ისწავლონ „ორიადზე“ და შეიარაღდნენ ცოდნით. (საქდესი).



აკად. ი. ჯავახიშვილის ავტოგრაფი.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ეს ავტოგრაფი ამოღებულია უკანასკნელი მოხსენებიდან „ქართული ფილოლოგიისა და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები“, რომელიც მან წაიკითხა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ხელნაწერების მუშაობის სახლში 18 ნოემბერს. დიდი მეცნიერის გულისცემა შეწყდა იმ მოყვანილი ტექსტის უკანასკნელ აბზაცზე ამირან-დარეჯანიანის უკანასკნელი კარის) უკანასკნელ ფურცელზე მოთხრობილი, ეგების ეს ადგილი, ან იქნებ მთელი ეს კარიც-კი მერმინდელი დანართი იყოს, მაგრამ ეს საკითხი ასე ადვილად ვერ სწყდება.

საქმე ის არის, რომ მესამე კარში, მასადამე, ამირან-დარეჯანიანის დაახლოებით შუა ნაწილში, სწორედ თითარინი, ე. ი. იგივე მონღოლი არიან მომჭედი პირებად გამოყვანილნი. ეს სახელდობრ რა არის ამ ადგილას იქ ნათქვამი. „კაცი მესამე. ნოსარ ნისრელისი ამბავი“ ასე იწყება: „წავედით და ვლეთ ხანი დღე. ქალაქი მისი იყო უზღუდო და ცოტათ თითარნი მოსრულ იყვნეს და ქალაქი მისი დაეწვა და დაეტყვევნა“...

საშაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისათვის, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელთათვის სასწავლო პროგრამების მომზადება

(საშაბარი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. პროკოპიევთან)

სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელთა მთელს მუშაობას საფუძვლად აქვს დადებული საწარმოო სწავლება, რისთვისაც ყოველდღიურად გამოყოფილია საშუალოდ 5 საათი. სასწავლებლებში შემოღებულია აგრეთვე ზოგადი განათლების ზოგიერთი საგანი. მათი სწავლება დაექვემდებარება ძირითად ამოცანას — დაეხმარონ მოსწავლეთ საწარმოო პროცესების ათვისებაში. მაგალითად, ხარატ-უნივერსალის სასწავლო გეგმა გათვალისწინებულია 4.032 სასწავლო საათისთვის. აქედან 2.916 საათი უკავია საწარმოო სწავლებას და 1.116 საათი—თეორიულ დისციპლინებს.

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, სადაც მასობრივი პროფესიების მუშებს (მნგრეველებს, მებიგეებს, კალატოზებს, დურგლებს და სხვ.) ამზადებენ, სრულიად არ არის გათვალისწინებული სპეციალური და ზოგადი განათლების საგნების სწავლება. აქ მთელი სწავლება უშუალოდ საწარმოო ვითარებაში ტარდება.

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების პროგრამებში ცოტა საათები აქვს დათმობილი ინსტრუქტაჟს, რომელიც წინ უნდა უძღოდეს პრაქტიკული მუშაობის თვითეულ ციკლს. მაგალითად, სანამ თერმოდამმუშავებელი ღუმელის მომსახურებას შეუდგებოდნენ, თერმისტები გაეცნობიან მის საერთო გამართულობას. ფოლადის მოწვისა და ნორმალიზაციის დაწყების წინ ისინი ოსტატისაგან მიიღებენ საჭირო ცნობებს ფოლადის თვისების შესახებ.

სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები დაახლოებით 400 პროფესიის მუშას მოამზადებენ. შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს 700-ზე მეტი სასწავლო პროგრამა უნდა შეედგინა. ამ პროგრამების შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო კომისარიატთა სასწავლებლების სამმართველოები, საწარმოთა მოწინავე ადამიანები, კვალიფიციური ოსტატები.

დონბასისა და მოსკოვის აუზის ქვანახშირის ბრეწველების მოწინავეებმა ამხ. სტახანოვთან ერთად უაღრესად ცხოველი მონაწილეობა მიიღეს გამთხრელთა, მბრეგელთა, მებიგეთა და სხვ. მომზადების სასწავლო გეგმების განხილვაში. მბრეველთათვის პროგრამის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ღარვის საქმის გამოჩენილმა ოსტატებმა ამხ. გუდოვის მეთაურობით. მათ ბევრი ძვირფასი წინადადება შემოიტანეს.

ამჟამად პროგრამების დამუშავება დასასრულს უახლოვდება. უნივერსალი ხარატების, ზეინკლების, დურგლების, მჭედლების, მებეტონეების, მლესავების და სხვა მრავალი პროფესიის სწავლების პროგრამები უკვე დაეგზავნათ ადგილებს.

სასწავლებლებში სპეციალური დისციპლინებისა და ზოგადი განათლების საგნების სწავლება მოსწავლეთა მომზადების პროფილის მიხედვით მოხდება. თუ უნივერსალი ხარატისა და ელექტრო მონტიორის სასწავლო გეგმებს ერთმანეთს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ მათ აქვთ სპეციალური ტექნოლოგიის სხვადასხვა კურსი, სხვადასხვა მოცულობით გადიან ზოგადი განათლების დისციპლინებს. ხარატს ხაზის გაცილებით მეტი კურსი აქვს, ვინაიდან იგი კარგად უნდა ერკვეოდეს იმ ნახაზებში, რომლებითაც მუშაობს. ელექტრომონტიორის პროგრამაში ხაზვას შედარებით მცირე ადგილი უჭირავს, მაგრამ სამაგიეროდ მან ელექტროტექნიკის სპეციალური კურსი უნდა გაიაროს.

სხვადასხვა პროფესიებისათვის ერთი და იგივე საგნებიც კი სხვადასხვანაირად ისწავლება. მაგალითად, მანქანათმშენებლებისთვის ფიზიკის საერთო კურსში მთავარი ყურადღება მექანიკასა და სითბოს ეძიქცევა. ოპტიკური ხელსაწყოების მონტაჟის ზეინკლებისათვის ფიზიკაში მთავარი გახყოფილებაა სინათლე და ოპტიკა, რადისტებისა და მექანიკრეებისათვის—ელექტრობა და ბგერა. ყველა სასწავლო გეგმა იმგვარად არის შედგენილი, რომ სწავლების მთელ მანძილზე თეორიული ნაწილი წინ უძღვის პრაქტიკულ მეცადინეობას.

საწარმოო სწავლების პროგრამები ითვალისწინებენ, რომ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების მოსწავლეები უკვე ორი-სამი თვის შემდეგ შესძლებენ მონაწილეობა მიიღონ მრეწველობის საწარმოო შეკვეთების შესრულებაში.

შემუშავებულია აგრეთვე სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების პროგრამა. ამ მომზადების მიზანი ამაში მდგომარეობს, რომ აღზარდოს ჯანსაღი, ფიზიკურად განვითარებული ახალგაზრდები, მისცეს მოსწავლეებს სამხედრო საქმის დაწყებითი ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები. (საკდესი).

შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა შრომითი რეზერვების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევის 10 დღის შედეგები.

10-დან 19 ნოემბრამდე სკოლებსა და სასწავლებლებში მიღებულია 513.565 კაცი, ანუ დაწესებული კონტინგენტის 85,2 პროცენტი. მათ შორის სახელოსნო სასწავლებლებში მიღებულია 267.047 კაცი, რკინიგზის სასწავლებლებში—30.693 კაცი, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში—215.825 კაცი.

ნებაყოფლობითი შესვლის საფუძველზე მიღებულია გაწვეულთა საერთო რაოდენობის 73,6 პროცენტი. შრომითი რეზერვების 55 სკოლაში, სამხარეო და რესპუბლიკური სამმართველოდან მიღებული ცნობებით, ქალაქის ახალგაზრდობა გაწვეულია 210.257 კაცი, კოლმეურნე ახალგაზრდობა—195.976 კაცი.

სავსებით დამთავრებულია გაწვევა ჩრდილოეთ ოსეთისა და ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკებში, ჩერნიგოვისა და ვოლოგდის ოლქებში.

უახლოეს დღეებში დაიწყება იმ კოლმეურნე ახალგაზრდობის გაგზავნა, რომელიც გაწვეულია მოსკოვის, ლენინგრადის, დონბასისა და სსრ კავშირის სხვა სამრეწველო რაიონების საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში. (საკდესი).

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭოს კრებაზე

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭოს პლენუმს, რომელიც 20 ნოემბერს ჩატარდა, გარდა პლენუმის წევრებისა ესწრებოდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამხედრო განყ. გამგე ამხ. ქანთაველი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. გვასალია, საქ. ალკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ცქიტიშვილი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების სამხედრო განყოფილებების გამგეები და თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური და თბილისის საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ანთელიძემ გააკეთა მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს თბილისში საპერო-ქიმიური თავდაცვის პირველი საფეხურის ნორმების ჩაბარება და თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა სამხედრო სწავლების ახლებურად გარდაქმნა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭოს მასობრივი თავდაცვითი მუშაობის მთელ რიგ მიღწევებთან აქვს ნაკლოვანებები, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის პირველი საფეხურის ნორმების ჩაბარება 20 ნოემბრისათვის შესრულებულია მხოლოდ 74,2 პროცენტით. ამ საქმეში ჩამორჩებიან მოლოტოვის სახელობის რაიონი (შესრულება — 61,9 პროც.), სტალინის სახ. რაიონი—(62,6 პროც.) ბერიას სახ. რაიონი (65 პროცენტი) და სხვ.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა თვითდაცვითი ჯგუფების მომზადებისა და თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს წევრთა შორის სამხედრო საქმის ახლებურად სწავლებაში.

მოხსენების ირგვლივ გაბაროტულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ს. ჭუჭულაშვილმა, ალენიკოვმა, ალ. ოგანეზოვმა, ვ. ხინთიბიძემ, ალექსანდრემა, გვახარიამ, გასპაროვმა, შერშიცკაიმ, დმიტრევმა, მაკარიძემ და თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. სალაგაძემ.

პირველი საკითხის ირგვლივ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამხედრო განყ. გამგე ამხ. ქანთაველი.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. ბოლოს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაკებს მასობრივი თავდაცვითი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის გადაეცათ თავდაცვა-ავიაქიმის საკავშირო ცენტრალური საბჭოს სიგელები.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა

სოციალისტის სსრ პოლიტმეშერიანის რაიონის სოფ. ფოქრშაღრიარის კოლმეურნეობის წევრთა წერილი მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისადმი

1920 წ. 29 ნოემბერი. ეს ისტორიული და მნიშვნელოვანი თარიღი სამუდამოდ წარუშლელი დარჩება სომეხი მშრომელი ხალხის გულში, იმ ხალხისა, რომელიც 20 წლის წინათ დაშნაკელთა ბანდიტური და სამარცხვინო პოლიტიკის მეოხებით ჩაგვრასა და გაჭირვებას განიცდიდა. 20 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც სომეხი ხალხი განთავისუფლდა დაშნაკელთა ბატონობისაგან და ბრწყინვალე წარმატებებით ხვდება ამ სასიხარულო თარიღს.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ შესცვალა სოფლის შინაარსი და სახე, შესცვალა მშრომელი გლეხის ცხოვრება. აღარ არსებობს გაჭირვება და სიღატაკე. კოლმეურნე გლეხობამ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ახალი შეძლებული და საამური ცხოვრება გამოსჭედა. თვალუწვდენელი მინდვრები, სადაც რევოლუციამდე დათარეშობდნენ დაშნაკელ ავაზაკთა ბანდები, დღეს უხვი მოსავლის წყაროდ გადაიქცა.

როგორც იცით, სოფ. ფოქრშაღრიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობა მესამე წელია, რაც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად სამი წლის მანძილზე ჩვენ სერიოზული წარმატებანი მოვიპოვეთ.

მაღალ გვეჩირა რა სოციალისტური შეჯიბრების დროშა, 1939 წლის სამეურნეო წელი დიდი გამარჯვებებით დავამთავრეთ. ჩვენმა კოლმეურნეობამ შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 21,3 ცენტნერი ბამბა, 106 ცენტნერი ყურძენი, 180 ცენტნერი ბერანი. ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო ვალდებულებანი. 13 ჰექტარით გავზარდეთ ვენახების ფართობი და გამოუყენებლად არ ვტოვებთ არცერთ მეტრ მიწის ნაკვეთს. მაღალი მოსავლის შედეგად გაიზარდა ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავალი, რომელმაც გასულ წელს 1.191 ათას მანეთს მიაღწია. გადიდდა შრომადღის ღირებულება. თვითეულ შრომადღეზე გავანაწილეთ 17 მან. და 72 კაპ. 1939 წელს ავაგეთ მთელი რიგი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობები. 23 კოლმეურნემ აიშენა ლამაზი სახლები. სოფელი დაიგეგმა.

შარშან მოპოვებული წარმატებებისაგან გამხნევებულებმა ამ წლის გაზაფხულიდან ურთიერთთანხმობით განვაახლეთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

ჯერ კიდევ გაზაფხულზე ჩვენი კოლმეურნეობის ექვსმა ბრიგადამ და 86 კოლმეურნემ ერთმანეთთან გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს ვალდებულებანი 1940 წელს ახალ წარმატებათა მოპოვების შესახებ. მართლაც, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ვადაზე დავამთავრეთ. ბამბა, რომელიც კოლმეურნეობაში წამყვანი კულტურაა, მაღალხარისხოვნად დავამუშავეთ, დროულად დავბარეთ ვენახები, გერანა მშვენივრად იხარა. ცხადია, რომ, მაღალი ხარისხით მოვლილ მინდვრები დიდ მოსავალს იძლევიან. შევასრულეთ ყურძნისა და გერანის ჩაბარების გეგმები.

სათე ჰაკობიანის, რახი ივანიანის და მაშო ახოიანის რგოლებმა ვალდებულება აიღეს ჰექტარზე მიიღონ 40-50 ცენტნერი პამბა. ისინი შესრულებენ თავიანთ სიტყვას, მოსავალი უხვია და ბარაქიანი, მისი უდანაკარგოდ აღებისათვის კი თვითეული კოლმეურნე ებრძვის. გვყავს საკოლმეურნეო ბრიგადები, (საქ ვასილიანი, სედრაკ პოღოსიანი), რომელნიც ებრძვიან იმისათვის, რომ ბამბის საშუალო მოსავალი 25-28 ცენტნერამდე აიყვანონ. გვაქვს 5 სათიბური, სადაც აქედანვე ვაჭრობენ ერთ მილიონ ცალ გერანის ნერგს. დავამთავრეთ 50 ჰექტარზე საშემოდგომო თესვა, ორ ჰექტარზე კი ვაზის დარგვა. რთველს მალე დავამთავრებთ.

გაიზარდა კოლმეურნეობის შემოსავალი. წელს კოლმეურნეობის შემოსავალი იქნება 1.300 ათასი მანეთი მაინც. შრომადღეზე გავანაწილებთ ოც-ოც მანეთს. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად წინანდელი მოჯადაგირეები დღეს შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ.

ბაღდასარ ვარდანიანი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოჯამაგირე იყო, მთელ დღე-ღამეს კულაკების ქარებ წინ აღამებდა. ახლა იგი სტახანოველია, აიშენა ორსართულიანი კოხტა სახლი, მისი ოჯახი ხარობს საკოლმეურნეო უხვი დოვლათით. წელს მან ოჯახის წევრებთან ერთად გამოიმუშავა 615 შრომადღე. ჰამაიაკ მელქონიანი, რომელსაც წინათ ტანჯულ ჰამოს უწოდებდნენ — კულაკების ნამცეცებით ცხოვრობდა, კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ წელში გაიმართა, წელს 500 შრომადღე გამოიმუშავა, აიშენა სახლი და ცხოვრობს კულტურულად. ვალარშაკ აზოიანმა, სიმონ ლაჩინიანმა და მრავალმა სხვამ კეთილსინდისიერი შრომით მოიპოვეს ბედნიერი და საამური ცხოვრება.

სოფელმა სახე შეიცვალა. წელს დავამთავრეთ ორსართულიანი სასკოლო შენობის მშენებლობა. ავაგეთ სამი საბავშვო ბაგა. დავიწყეთ კლუბის შენება, რომელსაც დავამთავრებთ 1941 წელს, ვაშენებთ პირუტყვისათვის კარგ ბოსლებს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე კოლმეურნეების წევრთა 70 პროცენტმა ახალი სახლები აიშენა. 20 კოლმეურნემ წელს აიშენა ახალი სახლი.

სამ კილომეტრზე გავიყვანეთ კარგი გზაც.

ამხანაგ **სტალინის** დაბადების 60 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით სოფლის ცენტრში დავდგით დიდი ბელადის ბრინჯაოს ქანდაკება.

მთლიანად შევასრულეთ სახელმწიფო ვალდებულებანი. არა გვაქვს არცერთი სახის დავალიანება. გავაძლიერეთ მეცხოველეობის ფერმები, ახლა გვაქვს სამი ფერმები დავაკომპლექტეთ სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული პირუტყვის რაოდენობით. წელს 12 მსხვილფეხა და 32 წვრილფეხა პირუტყვი შევცვალეთ ჯიშიანი პირუტყვით. გვაქვს მეფრინველეობის ფერმა, სადაც 175 ქათამია და ინდოური. ფოქრშაღრიარის კოლმეურნეობა 1939 და 1940 წლის სრულიად-საკავშირო საოსფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა. შარშან კოლმეურნეობა და 13 მოწინავე ადამიანი, წელს კი კოლმეურნეობა და 40 მოწინავე კოლმეურნე დამტკიცებული იყო გამოფენის მონაწილედ. გამოფენაზე ყოფნისას ფოქრშაღრიარის კოლმეურნეები გაეცვნენ იმ დიად მიღწევებს, რომელიც ჩვენს აყვავებულ ქვეყანაში მოპოვებულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში. მიღებული მდიდარი გამოცდილების გამოყენებით გამოფენის მონაწილენი წარმატებით მუშაობენ და მით მაგალითს უჩვენებენ დანარჩენ კოლმეურნეებს ახალ-ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად. 1939 წელს სრულიად-საკავშირო საოსფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ ვერცხლის მედალით დაჯილდოებულ იქნა ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. იუვარაშ ავჩიანი. ვიბრძვით იმისათვის, რომ 1941 წელსაც საპატიო ადგილი დავიკავოთ გამოფენაში.

აი, საყვარელო ამხანაგებო, ის დიდი მიღწევები, რომელსაც უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მიაღწია ჩვენმა კოლმეურნეობამ თქვენთან სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად. მაგრამ მიღწევებმა ჩვენ არასდროს არ უნდა დაგვამშვიდოს. ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი რამ გვაქვს გასაკეთებელი. მოსავლიანობის დღევანდელი მაჩვენებლები ჯერ კიდევ არასაკმაოა.

ჩვენი მიწა უხვია და ბარაქიანი, ჩვენი კოლმეურნის მარჯვენა კი მარჯვე და ღონიერი. პარტიამ და მთავრობამ ჩვენს განკარგულებაში გადმოგვცა ტექნიკა უკანასკნელი სიტყვის საფუძველზე დამზადებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები. არ დავკმაყოფილდეთ მოპოვებული წარმატებებით, არამედ სტახანოვური შეშაობის ფართოდ გაშლით განვაგრძოთ დაწყებული საქმე — სტალინური მაღალი მოსავლის მიღებისათვის, ბედნიერი და შეძლებული ცხოვრების კიდევ უკეთესი განმტკიცებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! გთხოვთ წელს გვესტუმროთ და დაეწაფროთ ჩვენს კოლმეურნეობაში უხვი შემოსავლის განაწილებას.

ი. ავჩიანი (ჰოქტემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრშაღრიარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), **ა. კოსტანიანი** (პარტორგი), **რ. შალოიანი** (სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), **ს. ლაჩინიანი, ს. პოღოსიანი, ი. ვასილიანი** (ბრიგადირები), **რ. ივანიანი, ს. ჰაკობიანი, მ. აზოიანი, ა. მელქონიანი, ნ. ნერსესიანი** (სტახანოველები).

ოდესა. სურათზე: მიტინგი ვაგზლის მოედანზე. სიტყვას ამბობს საქართველოს მშრომელთა დელეგაციის ერთერთი ჯგუფის ხელმძღვანელი, სსრკ სახალხო არტისტი ამხ. გასიძე.

ფოტო ვ. რიეაკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

კოლხიდმშენის ექსკავატორის სანერგეში

ფოთი, (საქდესი). კოლხიდმშენის ექსკავატორის სანერგის კოლექტივი წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება — მოიპოვოს 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლება. გეგმის თანახმად, სანერგეს უნდა დაეთესა 59 კილოგრამი ექსკავატორის თესლი და მიეღო ერთი მილიონი ნერგი 1941 წლის გაზაფხულისათვის. ფაქტიურად სანერგემ დასთესა 46 კილოგრამი თესლი და მიიღო 1.560 ათასი ნერგი. ამგვარად, დათესილ თითო კილოგრამ თესლზე მიღო 20 ათასი ნერგი, ნაცვლად 17 ათასისა — და გადამეტებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

ამჟამად სანერგეში გაჩალებულია 20 ახალი სათბურის მშენებლობა, რომელთაგან 16 მშენებლობა უკვე დამთავრებულია.

მევენახეობა მაიაკოვსკის რაიონში

მაიაკოვსკი, 16 ნოემბერი (საქდესი). მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეები 1934 წლიდან შეუდგნენ ახალი ვენახების გაშენებას. დღემდე რაიონში 701 ჰექტარი ვენახია გაშენებული. აქედან 286 ჰექტარი უკვე მსხმოიარეა.

წელს რაიონში 97 ჰექტარი ვენახი გაშენდა. მერმის 260 ჰექტარი ვენახი გაშენდება, რისთვისაც ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ნიადაგის მომზადება. უკვე მომზადებულია 60 ჰექტარი.

მაიაკოვსკის რაიონში საუკეთესოდ ხარობს „ცოლიკოური", „ციცქა", „კრახუნა" და სხვ. ძვირფასი ვაზის ჯიშები.

კოლმეურნეობებმა წელს ყურძნის მაღალი მოსავალი მიიღეს. სტალინის სახელობისა და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებმა ჰექტარზე საშუალოდ 67 ცენტნერი ყურძენი მოჰკრიფეს. სოფელ როზის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც 64 ჰექტარი ვენახი აქვს და რომელმაც წელს 9 ჰექტარი ვენახი გააშენა, ჰექტარზე საშუალოდ 41 ცენტნერი ყურძენი მოჰკრიფა.

ჯბის წყალი მორწყავს კოლმეურნეობის მიწებს

თბილისის რაიონი, 20 ნოემბერი (საქდესი). სოფელ თელოვანის კოლმეურნეები შეუდგნენ სოფლის მახლობლად მდებარე ტბიდან წყლის გადაყვანას. აგებულ უნდა იქნას წყალგადასაყვანი არხი და უნდა შესრულდეს 3.500 კუბ. მეტრი მიწის სამუშაო.

ტბის წყალი მორწყავს 150 ჰექტარს, რაც საშუალებას მისცემს კოლმეურნეობას გააშენოს ხილის ახალი ბაღები და გააფართოოს მებოსტნეობა.

გეგმების შესრულება

სიღნაღი (ტელეგრაფით „კომუნისტის" კორ.). სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 17.600 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 17.770 ჰექტარი. თესვა გრძელდება.

ბოლნისი (ტელეგრაფით). ბორჯომის რაიონმა 20 ნოემბრისათვის 101,3 პროცენტით შეასრულა მზრალად ხვნის გეგმა. ხვნა გრძელდება.

ინგლის-გერმანიის ომი

ბირჟინჰაგზე თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

ბერლინი, 20 ნოემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ბირმინჰამზე გერმანიის ავიაციის თავდასხმის შესახებ დამატებით მიღებული ცნობების თანახმად, ეს თავდასხმა თავისი შედეგების მიხედვით უფრო გამანადგურებელი იყო, ვიდრე კოვენტრზე თავდასხმა. მას შემდეგ, რაც გერმანიის თვითმფრინავთა პირველმა წყებამ ყუმბარების ტვირთი ჩამოაყარა, ქალაქი სამშინელი ხანძრის ალმა გაანათა. ლა-მანშის სანაპიროდან გაფრენილ თვითმფრინავთა შემდგომმა ტალღამ დაუბრკოლებლივ მიაღწია დასახულ ობიექტებს. გერმანიის ესკადრილიები თავიანთი ბაზებიდან შებინდების შემდეგ გაფრინდნენ ძლიერი ღრუბლიანობის პირობებში.

დაახლოებით ნაშუალამევისათვის ცა მოიწმინდა, ამიტომ გერმანიის თვითმფრინავთა ეკიპაჟები ქარგი ხილვადობის პირობებში მოხდა. ბირმინჰამს თავს დაესხა 500-ზე მეტი თვითმფრინავი, რომლებმაც ყოველგვარი ხელიშლა ყუმბარები ჩამოჰყარეს. სულ ჩამოყრილ იქნა 500.000 კილოგრამი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარა. ერთსადამავე ღამეს ამხელა ტვირთის — უეჭველად რეკორდული — ჩამოყრა არასდროს ყოფილა. ბირმინჰამის ნავსადგურის ნაწილი — ალბათ ყველაზე ცეცხლის ერთი კერა მეორეს უერთდებოდა. საფაბრიკო ნაგებობებსა, სახლებსა და სატრანსპორტო ნაგებობებში გაჩენილი დიდი ხანძრის გარდა, ძალიან ბევრ ადგილას გაჩნდა პატარა ხანძარი, რაც სწრაფად ძლიერდებოდა. ინგლისის თავდაცვა, რომელიც საზენიტო არტილერიისა და პროექტორთა დახმარებით მოქმედებდა, ძლიერი და ხანგრძლივი იყო. მაგრამ მან წარმატებას ვერ მიაღწია. გერმანელმა მფრინავებმა გადამღობი ცეცხლის რკალი გაარღვიეს და გადალახეს ხანგრძლივი ბრძოლა. გერმანიის ავიაციის ზარალი უმნიშვნელოა. გერმანიის 500 თვითმფრინავიდან, რომლებიც თავდასხმაში იღებდნენ მონაწილეობას, უკვალოდ დაიკარგა მხოლოდ 5 თვითმფრინავი.

ინგლისის ცნობები გერმანიის ავიაციის თავდასხმის შესახებ

ლონდონი, 20 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოსცემს ინგლისზე გერმანიის ავიაციის იმ თავდასხმის დაწვრილებითს ცნობებს, რომელიც 19 ნოემბრის ღამით მოხდა. სააგენტო აღნიშნავს, რომ ცენტრალური ინგლისის დასავლეთ ნაწილში ერთერთი ქალაქი ომის მთელი დროის განმავლობაში ყველაზე უფრო ძლიერ იქნა ბომბარდირებული. მტრის ავითმფრინავებმა დიდძალი ფუგასური და ცეცხლწამკიდი ყუმბარები დააყარეს სხვა ქალაქებსაც ცენტრალური ინგლისის დასავლეთ ნაწილში. თუმცა ჯერჯერობით მსხვერპლის რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები მიღებული არ არის, მაგრამ ფიქრობენ, რომ ბომბარდირების შეღეგად ბევრია მოკლული და დაჭრილი. დაზიანდა მრავალი შენობა, დანგრეულია 50-ზე მეტი სავაჭრო საწარმო. მაინც ფიქრობენ, რომ ეს თავდასხმა უფრო წარმატებული ძლიერი იყო, ვიდრე კოვენტრზე მომხდარი თავდასხმა, და ცენტრალური ინგლისის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქისათვის მიყენებული მატერიალური ზარალიც იმ ზარალზე გაცილებით ნაკლებია, რაც კოვენტრს მოუვიდა.

ინგლისის ცნობები გერმანიის ავიაციის თავდასხმის შესახებ

ლონდონი, 20 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოსცემს ინგლისზე გერმანიის ავიაციის თავდასხმის შესახებ დამატებით მიღებული ცნობების თანახმად, ეს თავდასხმა თავისი შედეგების მიხედვით უფრო გამანადგურებელი იყო, ვიდრე კოვენტრზე თავდასხმა. მას შემდეგ, რაც გერმანიის თვითმფრინავთა პირველმა წყებამ ყუმბარების ტვირთი ჩამოაყარა, ქალაქი სამშინელი ხანძრის ალმა გაანათა. ლა-მანშის სანაპიროდან გაფრენილ თვითმფრინავთა შემდგომმა ტალღამ დაუბრკოლებლივ მიაღწია დასახულ ობიექტებს. გერმანიის ესკადრილიები თავიანთი ბაზებიდან შებინდების შემდეგ გაფრინდნენ ძლიერი ღრუბლიანობის პირობებში.

დაახლოებით ნაშუალამევისათვის ცა მოიწმინდა, ამიტომ გერმანიის თვითმფრინავთა ეკიპაჟები ქარგი ხილვადობის პირობებში მოხდა. ბირმინჰამს თავს დაესხა 500-ზე მეტი თვითმფრინავი, რომლებმაც ყოველგვარი ხელიშლა ყუმბარები ჩამოჰყარეს. სულ ჩამოყრილ იქნა 500.000 კილოგრამი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარა. ერთსადამავე ღამეს ამხელა ტვირთის — უეჭველად რეკორდული — ჩამოყრა არასდროს ყოფილა. ბირმინჰამის ნავსადგურის ნაწილი — ალბათ ყველაზე ცეცხლის ერთი კერა მეორეს უერთდებოდა. საფაბრიკო ნაგებობებსა, სახლებსა და სატრანსპორტო ნაგებობებში გაჩენილი დიდი ხანძრის გარდა, ძალიან ბევრ ადგილას გაჩნდა პატარა ხანძარი, რაც სწრაფად ძლიერდებოდა. ინგლისის თავდაცვა, რომელიც საზენიტო არტილერიისა და პროექტორთა დახმარებით მოქმედებდა, ძლიერი და ხანგრძლივი იყო. მაგრამ მან წარმატებას ვერ მიაღწია. გერმანელმა მფრინავებმა გადამღობი ცეცხლის რკალი გაარღვიეს და გადალახეს ხანგრძლივი ბრძოლა. გერმანიის ავიაციის ზარალი უმნიშვნელოა. გერმანიის 500 თვითმფრინავიდან, რომლებიც თავდასხმაში იღებდნენ მონაწილეობას, უკვალოდ დაიკარგა მხოლოდ 5 თვითმფრინავი.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 21 ნოემბერი. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „ომის დასაწყისიდან მტრის უპირატეს ძალებთან ბრძოლის დროს გერმანიის ტორპედიანმა კატარღებმა მოწინააღმდეგის მრავალი სამხედრო ხომალდი ჩაისიერეს, მათ შორის 6 საეკადრო ნაღმოსანი და 2 წყალქვეშა ნავი. იმ მომენტიდან, როცა ტორპედიანმა კატარღებმა დასავლეთში მოქმედება დაიწყეს, მათ მიერ ჩაძირული სავაჭრო გემების ტონაჟმა 212 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონას მიაღწია. მხოლოდ ახლა, ინგლისის აღმოსავლეთის სანაპიროსთან ინგლისის რამდენიმე საესკადრო ნაღმოსნის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, პირველად დაიღუპა გერმანიის ერთი ტორპედიანი კატარღა.

19 ნოემბერს, ღამით, ბირმინჰამზე თავდასხმის გარდა, გერმანიის ავიაცია განაგრძობდა ლონდონის ბომბარდირებას, აგრეთვე ინგლისის სხვადასხვა რაიონში მტრის სანავსადგურო ნაგებობათა და სამხედრო მნიშვნელოვანი ობიექტების ბომბარდირებას.

დღისით, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, გერმანიის ავიაცია საზღვრავი ოპერაციებით დაკმაყოფილდა.

ინგლისის თვითმფრინავებმა 20 ნოემბერს, ღამით, ყუმბარები დააყარეს გერმანიის რამდენიმე აეროდრომს დასავლეთ და ჩრდილოეთ საფრანგეთში. არცერთი ობიექტი არ დაზარალებულა. დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ რაიონზე თავდასხმებსაც არა ჰქონიათ დიდი წარმატება. მხოლოდ ერთ მეტად ლურჯიულ ქარხანასთან დაზიანებულია საამქროს სადგომი და გზასადენი. ზარალი მაშინვე ლიკვიდირებულ იქნა.

გერმანიის ავიაციამ ორი თვითმფრინავი დაჰკარგა“.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 21 ნოემბერი. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ეუშინ, დღისით, გერმანიის თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს კენტის საგრაფოში. ზარალი და მსხვერპლი უმნიშვნელოა.

20 ნოემბერს, ღამით, მოწინააღმდეგის ავიაცია გაცილებით მეტ აქტიობას იჩენდა. ყუმბარები ჩამოაგდეს ლონდონის რაიონში, ინგლისის ცენტრალურ რაიონებში და სამხრეთ ნაწილის მრავალ პუნქტში, ყუმბარა დაეშინეს აგრეთვე ჩრდილოეთ - დასავლე

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ՈՐՈՇՈՒՄՆԵՐ ԵՎ ՈՐՈՇՈՒՄՆԵՐԻ ԾԱՆՈՒՑՈՒՄՆԵՐ

ՀՀ ՎԱՐՉԱՊԵՏԻ ԱՇԽԱՏԱԿԱԶՄԻ ՂԵԿԱՎԱՐ ՀՐԱՆՏ ՀՈՎՀԱՆՆԻՍՅԱՆԻ ԱՆՁՆԱԿԱՆ ԱՐՁԱԿԱԼՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

ՀՀՎ-ՈՄԱՆ, 20 հոկտեմբերի (նաև՝ ընթացիկ)։ «Հոդ-ոտոց» ՍՊԸ-ի (այսուհետև՝ Ընկերություն) ՀՀ ազգային ժողովի պատգամավոր, Ընկերության տնօրեն Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու մասին Ընկերության հիմնադիրների որոշումը։

Ընկերության հիմնադիրների որոշմամբ՝ Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Ընկերության տնօրենի պաշտոնակատար է նշանակվել Ընկերության հիմնադիրներից Ռուբեն Հովհաննիսյանը։

ՀՀՎ-ՈՄԱՆ, 20 հոկտեմբերի (նաև՝ ընթացիկ)։ «Հոդ-ոտոց» ՍՊԸ-ի (այսուհետև՝ Ընկերություն) ՀՀ ազգային ժողովի պատգամավոր, Ընկերության տնօրեն Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Ընկերության տնօրենի պաշտոնակատար նշանակելու մասին Ընկերության հիմնադիրների որոշումը։

Ընկերության հիմնադիրների որոշմամբ՝ Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Ընկերության տնօրենի պաշտոնակատար նշանակելու մասին Ընկերության հիմնադիրների որոշումը։

ՀՀՎ-ՈՄԱՆ, 20 հոկտեմբերի (նաև՝ ընթացիկ)։ «Հոդ-ոտոց» ՍՊԸ-ի (այսուհետև՝ Ընկերություն) ՀՀ ազգային ժողովի պատգամավոր, Ընկերության տնօրեն Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Ընկերության տնօրենի պաշտոնակատար նշանակելու մասին Ընկերության հիմնադիրների որոշումը։

Ընկերության հիմնադիրների որոշմամբ՝ Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Ընկերության տնօրենի պաշտոնակատար նշանակելու մասին Ընկերության հիմնադիրների որոշումը։

ՀՀ ԱՐԴԱՐԱԴԱՏՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԱՐՁԱՆԱԳՐՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՏԱՐԱԾՔԱՅԻՆ ՊԼԱՆԱՎՈՐՄԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ՀԱՄԱՅՆՔԱՅԻՆ ԾԱՌԱՅՈՒԹՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱՐԱՐԱՏԻ ՄԱՐԶԻ ՏԱՐԱԾՔԱՅԻՆ ԿԱՌԱՎԱՐՄԱՆ ԵՎ ՏԵՂԱԿԱՆ ԻՆՔՆԱԿԱՌԱՎԱՐՄԱՆ ՄԱՐՄՆԻ ՀԱՄԱՅՆՔԱՅԻՆ ԾԱՌԱՅՈՒԹՅԱՆ ԱՐՏԱՇԱՏ ՀԱՄԱՅՆՔԻ ՂԵԿԱՎԱՐ

ՀՀՎ-ՈՄԱՆ, 21 հոկտեմբերի (նաև՝ ընթացիկ)։ ՀՀ արդարադատության նախարարության համայնքային ծառայության Հայաստանի Հանրապետության Արարատի մարզի տարածքային կառավարման և տեղական ինքնակառավարման մարմնի համայնքային ծառայության Արտաշատ համայնքի ղեկավար Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Արտաշատ համայնքի ղեկավարի պաշտոնակատար նշանակելու մասին Արտաշատ համայնքի ղեկավարի որոշումը։

Արտաշատ համայնքի ղեկավարի որոշմամբ՝ Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Արտաշատ համայնքի ղեկավարի պաշտոնակատար նշանակելու մասին Արտաշատ համայնքի ղեկավարի որոշումը։

ՀՀՎ-ՈՄԱՆ, 21 հոկտեմբերի (նաև՝ ընթացիկ)։ ՀՀ արդարադատության նախարարության համայնքային ծառայության Հայաստանի Հանրապետության Արարատի մարզի տարածքային կառավարման և տեղական ինքնակառավարման մարմնի համայնքային ծառայության Արտաշատ համայնքի ղեկավար Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Արտաշատ համայնքի ղեկավարի պաշտոնակատար նշանակելու մասին Արտաշատ համայնքի ղեկավարի որոշումը։

Արտաշատ համայնքի ղեկավարի որոշմամբ՝ Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Արտաշատ համայնքի ղեկավարի պաշտոնակատար նշանակելու մասին Արտաշատ համայնքի ղեկավարի որոշումը։

ՀՀ ԱՐԴԱՐԱԴԱՏՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՕՐԵՆՔՆԵՐԻ ԺՈՂՈՎԱԾՈՒ ՏԵՂԵԿԱԳԻՐ

ՀՀՎ-ՈՄԱՆ, 20 հոկտեմբերի (նաև՝ ընթացիկ)։ «Հոդ-ոտոց» ՍՊԸ-ի (այսուհետև՝ Ընկերություն) ՀՀ ազգային ժողովի պատգամավոր, Ընկերության տնօրեն Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Ընկերության տնօրենի պաշտոնակատար նշանակելու մասին Ընկերության հիմնադիրների որոշումը։

Ընկերության հիմնադիրների որոշմամբ՝ Հրանտ Հովհաննիսյանի անձնական արձակուրդի ժամանակահատվածում նրա պարտականությունները կատարելու իրավունքով Ընկերության տնօրենի պաշտոնակատար նշանակելու մասին Ընկերության հիմնադիրների